ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲦᲔᲡ
ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ
8

- ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲣᲛᲐᲢᲔᲑᲡ ᲡᲘᲩᲥᲐᲠᲔᲡ
- „ᲑᲔᲜᲤᲘᲙᲐ“ ᲣᲫᲚᲣᲠᲘ ᲘᲧᲝ...
- 31 ᲡᲐᲐᲗᲘ... ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨ



ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲚᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-20 ᲬᲚᲘ

№ 119 (2482) ◉ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 18 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1964 Წ. ◉ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ — ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ!

3:0 ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲡ ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲡ

ᲛᲔ-19 ᲬᲣᲗᲘ: ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲕᲝᲠᲝᲜᲘᲜᲘ — 1:0
ᲛᲔ-40 ᲬᲣᲗᲘ: ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲞᲝᲜᲔᲓᲔᲚᲜᲘᲙᲘ — 2:0
88-Ე ᲬᲣᲗᲘ: ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ — 3:0

17 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲑᲐᲠᲪᲔᲚᲝᲜᲐᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ. 110 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ (ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ) — ᲓᲐᲜᲘᲐ (ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ) — 3:0 (2:0).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ: ᲘᲐᲨᲘᲜᲘ, ᲨᲣᲡᲢᲘᲙᲝᲕᲘ, ᲨᲔᲡᲢᲐᲠᲜᲘᲝᲕᲘ, ᲐᲜᲘᲩᲙᲘᲜᲘ, ᲛᲣᲓᲠᲘᲪᲘ, ᲕᲝᲠᲝᲜᲘᲜᲘ, ᲩᲘᲡᲚᲔᲜᲙᲝ, ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ, ᲞᲝᲜᲔᲓᲔᲚᲜᲘᲪᲘ, ᲒᲣᲡᲐᲠᲝᲕᲘ, ᲭᲣᲡᲐᲘᲜᲝᲕᲘ.

ᲓᲐᲜᲘᲐ: Ლ. ᲜᲘᲚᲡᲔᲜᲘ, Პ. ᲭᲐᲜᲡᲔᲜᲘ, Კ. ᲭᲐᲜᲡᲔᲜᲘ, Ბ. ᲭᲐᲜᲡᲔᲜᲘ, ᲚᲐᲠᲡᲔᲜᲘ, Ე. ᲜᲘᲚᲡᲔᲜᲘ, ᲑᲔᲠᲢᲔᲚᲡᲔᲜᲘ, ᲤᲠᲝᲡᲢᲘ, ᲛᲐᲓᲡᲔᲜᲘ, ᲡᲝᲔᲠᲔᲜᲡᲔᲜᲘ, ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲡᲔᲜᲘ.

ᲛᲡᲯᲐᲕᲘ Კ. ᲚᲝᲑᲔᲚᲝ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ).

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ მატჩის წინ მწვრთნელი ფეხბურთელებს კონკრეტულ დავალებას აძლევს, რომელთა შესრულებაზე ბევრადაა დამოკიდებული თამაშის მსვლელობა. საბჭოთა გუნდის მწვრთნელის კ. ბესკოვის ამოცანა მარტივი იყო: მეტოქის კარი გამუდმებული „ცეცხლის“ ქვეშ, ტემპი და შეტევა! არც დანიის ნაკრებს ჰქონდა „დიდი საზრუნავი“: პირველ რიგში, კარის უსაფრთხოება, გოლის გატანა კი... როგორც იტყვიან, „ღმერთია მოწყალე“.

თამაშიც სწორედ ასეთი სქემით წარიმართა. საბჭოთა გუნდმა თავიდანვე უარი თქვა შაბლონურ ტაქტიკურ განლაგებაზე. საჭიროებისდამიხედვით შეტევის ზამბარები ხან მაქსიმუმამდე იშლებოდა (როდესაც ივანოვი და ვორონინი უერთდებოდნენ იერიშებს), ხან კი ბოლომდე იკუმშებოდა (როდესაც დაცვაზე იყო საჭირო ფიქრი). მაგრამ ამ მატჩში მეორე მდგომარეობა მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ შეიქმნა.

მთელი 90 წუთის მანძილზე ჩვენი გუნდის უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ მატჩმა ერთგვარად დაკარგა კიდეც სპორტული ინტერესი. მე-9 წუთზე გუსაროვმა ჩისლენკოს მოწოდებიდან გაიტანა პირველი ბურთი, მაგრამ მსაჯმა იგი არ ჩათვალა. ამ ფაქტმა თითქოს ახალი სული შთაბერა ჩვენს გუნდს. და აი, დაიწყო დანიელთა კარის გამუდმებული შტურმი, რომელსაც წერტილი დაუსვა ივანოვმა.

წინ ფინალია! 21 ივნისის მატჩი!

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ — ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ 2:1

ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲑᲣᲠᲗᲘ — ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲠᲝᲨᲘ

თუ საბჭოთა გუნდის გამარჯვებაში ფეხბურთის სპეციალისტებს, სპორტულ მიმომხილველებსა და გულშემატკივრებს ეჭვი არ ეპარებოდათ, სამაგიეროდ „ორხმიანობა“ იგრძნობოდა მეორე ფინალისტის გამოცნობაში — ესპანეთი თუ უნგრეთი?

მაგრამ ამ დავაში მტკიცედ დაპირისპირებული მხარეები ერთში იყვნენ ერთსულოვანნი: მადრიდის ნახევარფინალურ წყვილში გამარჯვებული საბოლოოდ თასსაც მოიპოვებსო.

„პირველი ეტაპის“ დავა მხოლოდ ბელგიელი მსაჯის არტურ ბლავიეს ფინალურმა სასტვენმა დაასრულა. თუმცა გამარჯვებულის გამოსავლენად მატჩის ძირითადი დრო — 90 წუთი — არ აღმოჩნდა საკმარისი. საქმე ისაა, რომ იტალიის „ინტერნაციონალედან“ საგანგებოდ ჩამოსულ სუარესის ჩაწოდებით ესპანელ პერედას (იგი მერვედ გამოდიოდა ნაკრების შემადგენლობაში) მიერ პირველი ტაიმის 30-ე წუთზე გატანილ ბურთს უნგრელთა გუნდის ვეტერანმა ტიხომ შესვენების შემდეგ გოლით უპასუხა — 1:1.

მაინც ვინ — ვის?..

ამისათვის დაინიშნა დამატებითი დრო. და აი, მასპინძელთა მარჯვენა გარემარბმა, 24 წლის ამანსიომ წარმატებას მიაღწია — მისმა ზუსტმა დარტყმამ ესპანელები ფინალში გაიყვანა.

ᲝᲗᲮᲗᲐ ᲪᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 17 ივნისი. **(ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠ.)** გუშინ აქ, „სპარტაკის“ საწყლოსნო აუზში, დამთავრდა წყალბურთელთა ტურნირი.

შეჯიბრების ბოლო დღეს პროფკავშირების ნაკრებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხა შეიარაღებული ძალების კოლექტივი.

ბურთების მხრივ უხვმოსავლიანი გამოდგა ოლიმპიური და „დინამოს“ ნაკრები გუნდების მატჩი. ანგარიში გახსნეს დინამოელებმა. ეს გააკეთა ი. რაკიტინმა. შემდეგ ვ. კურენოიმ გაათანაბრა ანგარიში. ამას მოყვა გ. ჩიქვანაიას მიერ მეტოქის კარში გატანილი 2 ბურთი. დარჩენილ დროში უპირატესობა მთლიანად ოლიმპიელთა მხარეს იყო, რაც გამოიხატა კიდეც ანგარიშში — 9:3.

ასპარეზობაში პირველი ადგილი დაიკავა ოლიმპიურმა ნაკრებმა.

ტურნირზე დაწესებული სპეციალური პრიზები დაიმსახურეს: საუკეთესო მეკარისა — ლ. გოგოლაძემ, მცველისა — გ. ჩიქვანაიამ, ნახევარმცველისა — ი. კოპეიკინმა, თავდამსხმელისა — ვ. სემიონოვმა. ოთხივე წყალბურთელი სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის წევრია.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ᲣᲢᲔᲕᲔᲜ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘ.

ᲤᲝᲢᲝ Ა. ᲢᲣᲚᲣᲨᲘᲡᲐ.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ!

◆ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. წარმატებით აიღო სტარტი უიმბლდონის ტურნირზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ჩოგბურთში ანა დმიტრიევამ. II ტურში მან ადვილად ძლია 1962 წლის უიმბლდონის ტურნირის ფინალისტს, ჩეხოსლოვაკელ ვერა სუკოვას — 6:2, 6:1. დმიტრიევა განაგრძობს ბრძოლას „ვარსკვლავთა“ ტურნირში.

◆ ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ. 17 ივნისს საზონათშორისო საჰადრაკო ტურნირის XXI ტურში ყურადღების ცენტრში იყო ლარსენისა და შტეინის პარტია. საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ენერგიული თამაშით გამარჯვებას მიაღწია. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტალმა 29-ე სვლაზე დაამარცხა კვინონესი. მსოფლიოს მეორე ექს-ჩემპიონის—სმისლოვისა და ივკოვის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგით აღინიშნა ვრანეშიჩ — პახმანის და ბენკო — ბერგერის პარტიები. ლენდიელმა დაამარცხა პერესი.

როსეტოსთან გადადებულ პარტიაში სპასკი პოზიციურ უპირატესობას ინარჩუნებს. ბრონშტეინმა უკეთეს მდგომარეობაში გადადო პარტია დარგასთან.

XX ტურის პარტია ბრონშტეინ — კვინონესი ყაიმით დამთავრდა.

დღეს გაიმართება გადადებული შეხვედრების დამთავრება.

ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ერთსულოვნება გამოიჩინა ესპანეთის პრესამ საბჭოთა კავშირ—დანიის მატჩის წინ. საგაზეთო აუიოტაჟმა თავის აპოგეას შეხვედრის დღეს მიაღწია. საბჭოთა ფეხბურთელების პორტრეტები, როგორც წესი, გაზეთების პირველ გვერდს იკავებდნენ. ყოველ ფოტოს ქვეშ მსხვილი შრიფტით იყო დასტამბული მოთამაშის დამახასიათებელი ეპითეტი.

ბუნებრივია, ყურადღების ცენტრში იაშინი მოექცა, რომელსაც ყოველნაირად ადარებდნენ ლეგენდარულ რიკარდო ზამორას. არაჩვეულებრივად პოპულარულნი იყვნენ ვორონინი და პონედელნიკიც. პირველს კორესპონდენტებმა საბჭოთა გუნდის ტვინი შეარქვეს, ხოლო მეორეს—ნაკრების მხსნელი და იმედი. ივანოვზე კი ერთ-ერთი გაზეთი წერდა, რომ იგი „...საბჭოთა ნაკრების ფსიქოლოგიური ცენტრია და მატჩის ბედი მეტწილად მის ხასიათზეა დამოკიდებულიო“.

მეტოქეთა შანსები ძალზე ცალმხრივად ფასდებოდა. არც ერთ სპეციალისტსა და მიმომხილველს უპირატესობა დანიელთათვის არ მიუკუთვნებია. გასაოცარი სოლიდარობით გამარჯვება ყველამ საბჭოთა გუნდს უწინასწარმეტყველა.

აი, ზოგიერთი ამონაწერი ესპანური გაზეთების ფურცლებიდან: „რუსები პირველად არიან ესპანეთის მიწაზე. ჩვენ დიდი ფეხბურთი გველის“, „საბჭოთა კავშირის ნაკრები მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია“, „რუსებს ბრწყინვალე ათლეტური მომზადება აქვთ, რასაც თან ერთვის უმაღლესი ტექნიკა“, „დანიის ნაკრებს მხოლოდ ერთი საზრუნავი ექნება — როგორმე დაიცვას თავი“, „ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ საბჭოთა გუნდი ადვილად დაძლევს დანიას“.

ᲧᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲞᲐᲗᲔᲢᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲖᲐᲠᲢᲛᲐ ᲣᲤᲠᲛᲐ ᲨᲝᲠᲡ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ. მათ მიზნად დაისახეს ფინალური მატჩის შედეგის წინასწარმეტყველება. „ადვილი შესაძლებელია, თასი კვლავ ოთხი წლით მოსკოვში დარჩეს“, „ფინალში—მხოლოდ საბჭოთა ნაკრები და ესპანეთი“, „ვინ იქნება ბედნიერი 21 ივნისს, ძნელი წარმოსადგენია. ვუსურვოთ ჩვენს გუნდს წარმატება“, „ფინალში მადრიდის სტადიონზე ფეხბურთის ორი საწინააღმდეგო სტილი შეხვდება. ვის მხარეზეა მომავალი — ამას მატჩის შედეგი გვიჩვენებს“.

როგორც ხედავთ, ზოგჯერ არც ᲧᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ცდებიან. ყოველ შემთხვევაში, გამოცდის პირველი ნაწილი მათ ღირსეულად ჩაბარეს, რადგან თავიანთი ხმა უყოყმანოდ მისცეს ჩვენს ნაკრებს. სულ სხვა საქმეა 21 ივნისის მატჩი: ესპანეთი — საბჭოთა კავშირი! აქ უკვე წინასწარმეტყველება ძნელია, თუმცა... მოგვიტევონ ესპანელმა გულშემატკივრებმა, თუ უპირატესობას მაინც ჩვენს გუნდს მივცემთ.

XVI ტრადიციული...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვის მოყვარულები კარგად იცნობენ უფროსი თაობის ისეთ წარმომადგენლებს, როგორიც არიან ზ. ნათაძე, მ. ტატიშვილი, ე. მაროტი, ოესპუბლიკის ჩემპიონები ი. გიორგობიანი, ი. ფუნიკოვი, ი. ამნიაშვილი და სხვები. რა კავშირი აქვთ მათ მოსწავლეთა სპარტაკიადასთან? პირდაპირი. სწორედ ისინი გადაცემდნენ სიგელებს შეჯიბრების პრიზიორებს. რაღაც სიმბოლურია ამ ცერემონიალში. როცა ახალგაზრდა მოცურავე სიგელს ფავორიტისგან იღებს, მას ესმის თბილი, დამრიგებლური სიტყვები, კეთილი სურვილები. ეს კი ყველაზე უკეთესი საჩუქარია.

ახალგაზრდობა განსაკუთრებით სპორტში ცდილობს მიბაძოს უფროსებს. ამის საუკეთესო მაგალითად გამოდგებიან საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ლ. იოაკიმიდის ვაჟები — ალეკო და გრიშა. ორივენი ოცნებობენ ისეთივე შესანიშნავი სპორტსმენები გახდნენ, როგორც მათი მამა იყო თავის დროზე.

ოცნება ფრთებს ისხამს. პირველთანრიგოსანი ალეკო რესპუბლიკის რეკორდსმენია ჭაბუკთა შორის. ამ შეჯიბრებაზე მან სამი პირველი ადგილი დაისაკუთრა — ჩემპიონი გახდა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით (1.03,5), 400 მეტრზე კომპლექსურ (5.38,0) ცურვაში და ამანათცურვაში. საპრიზო ადგილებზე გამოვიდა მისი ძმაც.

მრავალმხრივი მომზადება გამოავლინა ნ. ჟიგალიოვამაც. ეს გოგონაც სამჯერ ავიდა გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე (100 მ ბატერფლაით — 1.21.4, 400 მ კომპლექსურ ცურვაში — 6.41,2 და ამანათცურვაში). კომბინირებულ ამანათცურვაში 4×100 მეტრზე გუნდმა (ნ. ჟიგალიოვას, ნ. ჭუმბაძის, მ. ხამბახიძისა და ლ. ქარქუსაშვილის შემადგენლობით) გოგონათა ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა — 5.38,4.

ორჯერ იზეიმა გამარჯვება ნ. ჩუგუევსკაიამ. სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ აგრეთვე ვ. ისელიძე, გ. ჯიქიძე, ნ. ჭუმბაძე, ვ. დოლინსკი, ს. რზაევი და გ. შიხიკიანი.

უნდა აღინიშნოს სოხუმელი მოსწავლეების ლ. ბულისკირიას, ნ. უსტიანის, ს. ლივანოვას, ვ. მაკაროვასა და ნ. არეპოვას კარგი მაჩვენებლები. მათ საპრიზო ადგილები მოიპოვეს. მაგრამ ყველა გაცურვაში მაინც თბილისელი სპორტსმენები იყვნენ პირველნი. მათვე დაისაკუთრეს საერთო გუნდური ჩემპიონობაც. მეორე ადგილზეა აფხაზეთის გუნდი, მესამეზე — აჭარა.

მძლეოსანთა შეჯიბრება ოთხ დღეს გრძელდებოდა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე. მონაწილე გუნდები სიძლიერის მიხედვით დაყოფილი იყვნენ სამ ჯგუფად. პირადი პირველობა ტარდებოდა 15-16 და 17-18 წლის სპორტსმენებისთვის ცალ-ცალკე. ჩემპიონატის მსვლელობისას ნაჩვენები იქნა I თანრიგის ერთი და II თანრიგის 60 შედეგი. გაუმჯობესდა მოსწავლეთა 3 რესპუბლიკური რეკორდი. გამოვლინდა ბევრი ნიჭიერი, კარგი მომავლის მქონე მძლეოსანი. თუ ისინი შემდგომშიც რეგულარულად ივარჯიშებენ არჩეულ სახეობებში, ყველა პირობა აქვთ ჩადგნენ საქართველოს წამყვან სპორტსმენთა რიგებში.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსნი არიან ვ. ქუთათელაძე, გ. კონონენკო, ი. არეპინი, ო. ჩახუნაშვილი, რ. ჩიტაიშვილი (ყველანი — თბილისიდან), ნ. დანილენკო, გ. არაჰამია (აფხაზეთი), ც. ლიპარტელიანი (ლენტეხი), ლ. ბოცვაძე, ჯ. ხოფერია, ვ. ბონდარენკო (აჭარა), ჯ. ღონღაძე (ხაშური), ვ. ჯანშვილი (ფოთი).

კარგად მომზადებული გუნდი გამოიყვანა აფხაზეთმა. იგი უკანასკნელ დღემდე ტოლს არ უდებდა თბილისის I კოლექტივს და საბოლოოდ მხოლოდ 1.728 ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს.

საერთო გუნდური შედეგები: პირველი ჯგუფი — 1. თბილისი I — 29.393 ქულა, 2. აფხაზეთი — 27.665 ქულა, 3. თბილისი II — 22.834 ქულა. მეორე ჯგუფი — 1. მახარაძე — 14.46 ქულა, ახმეტა — 10.747 ქულა, გარდაბანი — 10.738 ქულა. მესამე ჯგუფი — 1. გორის რაიონი — 4.555 ქულა, გეგეჭკორი — 3.310 ქულა, საგარეჯო — 3.160 ქულა.



ფრენბურთელთა ასპარეზობაში სპარტაკიადის ჩემპიონობას ერთმანეთს ეცილებოდნენ თბილისის I, რუსთავის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, აჭარისა და აფხაზეთის გოგონათა და ჭაბუკთა, აგრეთვე ყვარლის გოგონათა და წყალტუბოს ჭაბუკთა კოლექტივები.

სამი დღის საინტერესო ბრძოლების შემდეგ, ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თბილისის I და ქუთაისის გოგონათა გუნდები. მასპინძლებს ქვეჯგუფის აქტივში ჩაწერილი ჰქონდათ გამარჯვებანი რუსთავის, სამხრეთ ოსეთისა და ყვარლის გუნდებთან ერთნაირი (3:0) ანგარიშით. არც სტუმრები იყვნენ ნაკლებ „ტიტულოვანი“. მათაც ასევე სამი გამარჯვება მოიპოვეს აჭარასთან (3:2), აფხაზეთთან (3:1) და თბილისის II გუნდთან (3:0). ფინალში თბილისელებმა არ უღალატეს ტრადიციას და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს.

ანალოგიური მდგომარეობა იყო ჭაბუკთა შორისაც. ქვეჯგუფში სამი მოგების შემდეგ თბილისელი მოსწავლეები ფინალში შეხვდნენ აჭარელ სპორტსმენებს, რომლებმაც მხოლოდ კონკურსგარეშე მონაწილე თბილისის II გუნდთან განიცადეს დამარცხება — 1:3.

ფინალში გამარჯვება აქაც მასპინძლებს ხვდათ წილად.

წყალში ხტომაში ასპარეზობისას აშკარა იყო მასპინძელთა უპირატესობა: მათ მოიგეს გუნდური პირველობა და ოთხიდან სამ სახეობაში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: ა. კალიაგინა (თბილისი) აბსოლუტური ჩემპიონია: მან მოიგო როგორც ტრამპლინიდან (125,35 ქულა), ისე კოშკურიდან (86,02) ხტომა. ჭაბუკთა შორის ჩემპიონები არიან თბილისელი ა. ოსინინი (ტრამპლინი — 124,3) და სოხუმელი ნ. პოგონია (კოშკური — 131,07).

გაზეთ „ლელოს“ ბრიგადა.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — **მოსწავლე-ნიჩბოსნები რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკის ტბაზე.** შუაში — **ვარჯიშს ასრულებს ტ. მუჩიაშვილი.** მარჯვნივ — **მოშაშეთა ტურნირი.**

ფოტო **რ. გაბრიჭიძისა** და **ი. იუნაევისა.**

„მ ე მ ა ტ ი ა ნ ე“

ვერავინ იტყვის, საბურთალოს აგურის კომბინატში (დირექტორი ი. ინგოროყვა) ცუდად ზრუნავენო მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების უკეთ მოწყობისთვის. დირექცია წლიდან წლამდე სრულყოფს შრომის პირობებს საამქროებში, იბრძვის ხალხის კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის. აქ დაიწყეს რამდენიმე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა... სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი „წვრილმანი“ გამორჩათ აქაურ მესვეურებს: მშრომელთა ჯანმრთელობის გაკაქების ისეთ მასობრივ ღონისძიებაზე ზრუნვა, როგორიცაა ფიზკულტურა და სპორტი.

ამ დარგში ჩამორჩენას ერთსანს მეთოდისტ მ. ლაშხის მოუქნელი მუშაობით ხსნიდნენ. იგი შეცვალეს. საქმე პ. ვაჭარაძეს მიანდეს. მაგრამ მეთოდისტის გამოცვლას არავითარი მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოჰყოლია ფიზკულტურულ საქმიანობაში.

სხვას რა უნდა ვუსაყვედუროთ, როცა ფიზკულტურული საბჭო ყველაზე ნაკლებადაა დაინტერესებული მისი პირდაპირი მოვალეობით — მასობრივი მუშაობის გაშლით, ბაზების მოვლით.



განსაკუთრებული ყურადღების ღირსი სწორედ კომბინატის ერთ დროს კეთილმოწყობილი სპორტული ნაგებობანია. მსგავსი ბაზები საბურთალოს ამ კუთხეში არავის ჰქონდა. იყო კალათბურთისა და ფრენბურთის პირველსარისხოვანი მოედანი, მძლეოსნობის თითქმის ყველა სექტორი, საჭიდაო სარბიელი... იყო და აღარ არის.

„პირისაგან მიწისა“ თანდათან აღიგავა ფრენბურთის მოედანი, საჭიდაო ასპარეზი, მძლეოსნური სექტორები. დადგა კალათბურთის მოედნის რიგიც. ძირფესვიანად ამოაგდეს ერთი ფარი, ხელჰყვეს მეორეც და ახლა მეაგურეები დარჩნენ ყოველგვარი სპორტული ბაზის გარეშე. სად ივარჯიშონ მათ?

ო. ივდოუშვილი

სურათზე: ეს-ლა დარჩა მეაგურეთა სპორტული ბაზების ერთადერთ „მატიანედ“.

ჩვენი წერილების კვალდაკვალ

გაზეთ „ლელოს“ ა. წ. 24 მაისის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „კიდევ ერთხელ ველოტრეკის შესახებ“, რომელშიც ლაპარაკი იყო ზოგიერთი ველოსიპედისტის არასპორტულ საქციელზე.

წერილი განიხილა ველოსპორტის რესპუბლიკურმა ფედერაციამ და სათანადო ზომებიც მიიღო: ი. იუხნევიჩსა და დ. შავლიაშვილს (ორივენი — „სპარტაკიდან“) ერთი წლით პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცათ. ვ. ასკურავა („შრომითი რეზერვები“) გაშოუვანილია რესპუბლიკის ნაკრები გუნდიდან, ხოლო ვ. ეგანოვსა („სპარტაკი“) და ო. ფხაკაძეს („დინამო“) გაფრთხილება მიეცათ.

პირველ დღეს...

ბრაკოვში დაიწყო „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდების ტრადიციული ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ „გვარდია“ (პოლონეთი), „დინამო“ (გდრ), „დინამო“ (რუმინეთი), „დოჟა“ (უნგრეთი), „რუდა გვეზდა“ (ჩეხოსლოვაკია), „სპარტაკი“ (ბულგარეთი), „ცაინ-ვეი“ (ჩინეთი) და სსრ კავშირის „დინამო“, რომელიც ძირითადად ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის კალათბურთელებითაა დაკომპლექტებული.

ტურნირში მონაწილე კოლექტივები ორ ქვეჯგუფად არიან დაყოფილი. „ა“ ქვეჯგუფში გამოდიან საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და რუმინეთის გუნდები, ხოლო „ბ“ ქვეჯგუფში — გერმანელი, ბულგარელი, ჩინელი და უნგრელი სპორტსმენები. ქვეჯგუფებში პირველ ორ ადგილზე გამოსული კოლექტივები ერთმანეთს ნახევარფინალში შეხვდებიან.

პირველი დღის ტექნიკური შედეგები ასეთია: „დინამო“ (სსრკ) — „რუდე გვეზდა“ (ჩეხოსლოვაკია) 79:47 (35:24), „გვარდია“ (პოლონეთი) — „დინამო“ (რუმინეთი) 74:65 (43:25), „დინამო“ (გდრ) — „სპარტაკი“ (ბულგარეთი) 50:47 (22:19), „ცაინ-ვეი“ (ჩინეთი) — „დოჟა“ (უნგრეთი) 78:46 (40:22).

ყველა წონაში — გამარჯვება

მოსკოვში საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა უნგრეთის ძიუდოისტთა გუნდმა. უცხოელ სტუმრები „დინამოს“ ნაკრებ გუნდს შეეჯიდნენ. ყოველ წონით კატეგორიაში გამოდიოდა ორი სპორტსმენი.

მსუბუქ წონაში ევროპის ჩემპიონმა ბოგოლიუბოვმა 10 წამში დამარცხა იშტვანი. ამავე წონაში მაღალდაძმემ დიდი უპირატესობით მოუგო ანდრაშს.

საბჭოთა მოჭიდავეების უპირატესობით აღინიშნა ბრძოლები საშუალო წონაშიც. ნონიკაშვილმა 8 წუთში დაამარცხა იშტვანი, ხოლო პანკრატოვმა — ჰორლშალი.

მაღალი ოსტატობა გამოავლინა მძიმე წონაში ევროპის ჩემპიონმა ა. კიკნაძემ. მან იოლად მოუგო შეხვიდრა კრიშელს.

საბჭოთა ძიუდოისტებმა ყველა წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს.

ბ. მაზიაშვილი

ფიზკულტურელ მემანქანეთა წარმატება

ოთხი წლის წინათ ქუთაისის საოლიმპიადო ლეპოს ფიზკულტურის კოლექტივის საბჭომ საწარმოს ხელმძღვანელობის წინაშე დააყენა საკითხი, რათა გამოეყოთ ელმავალი, რომლის მომსახურე პერსონალი მთლიანად ფიზკულტურელებისგან დაკომპლექტდებოდა. თაოსნობას მხარი დაუჭირეს. მალე ვლ 22—181 ელმავალზე ხელმძღვანელად დაინიშნა ფეხბურთელთა გუნდის წევრი, მძიმეწონასანი მემანქანე გივი ქასრაშვილი, მემანქანეებად კი — ფეხბურთელები შ. ცქიფურიშვილი, ი. გოგოხია და სხვანი, სულ 8 კაცი.

ფიზკულტურული ბრიგადის წევრებმა აიღეს გადიდებული ვალდებულებანი და შეჯიბრებაში ჩაებნენ თბილისის საელმავლო დეპოს ფიზკულტურული ელმავლის ბრიგადასთან.

მას შემდეგ ქუთაისელმა ფიზკულტურელმა მძიმეწონასანმა მემანქანეებმა მრავალი გამარჯვება მოიპოვეს. შეიდწლედის მეექვსე წლის განვლილ პერიოდში მათ ლოკომოტივების საშუალო სადღეღამისო გარბენა გაადიდეს 3 კილომეტრით, ტექნიკური სიჩქარე გაზარდეს 0,6 კილომეტრით საათში. გ. ქასრაშვილმა და შ. ცქიფურიშვილმა ათობით მძიმეწონიანი მატარებელი გაატარეს ტყიბულ—ქუთაისის რთულპროფილიან უბანზე და ათასობით ტონა ქვანახშირი გადაზიდეს გეგმის გადამეტებით.

ფიზკულტურული ბრიგადის წევრები ყოველდღიურად ასრულებენ დილის საწარმოო ვარჯიშს, იკაკვებენ ჯანმრთელობას. ახლა ისინი რკინიგზელის დღის აღსანიშნავ შრომით ვახტზე დგანან და პირნათლად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

ი. გუხაიძე

ქუთაისი.

შ. დ ა დ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე ე ბ ი ს ხ ს ო ვ ნ ა ს

საქართველოს ალპურმა კლუბმა მოაწყო გამოჩენილი მთასვლელების — შოთა და დავით მიქელაძეების ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

კრება შეხავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მთასვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ო. გიგინეიშვილმა.

ვრცელი მოხსენება გამოჩენილი ალპინისტების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე გააკეთა ლ. წერეთელმა.

სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ ი. მარი, ლ. მარუაშვილი, ს. გვალია, ე. ლუკაშვილი, ბ. ზარიძე, გ. ტოგონიძე, შ. სანებლიძე, გ. ჭელიძე და სხვ.

ე. ლუკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ზენიტის“ გამარჯვება

ფლორენცია. ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი — პორტუგალიის ცნობილი კლუბი „ბენფიკა“ (ლიხაბონი).

ამ გამარჯვებით საბჭოთა სპორტსმენებმა პირველი 2 ქულა ჩაიწერეს „ფიორენტინის“ კლუბის ტრადიციულ დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც მათს გარდა მონაწილეობენ ისეთი ძლიერი გუნდები, როგორიცაა „ფიორენტინა“ (იტალია), „ხან-პაულო“ (ბრაზილია) და „ბენფიკა“ (პორტუგალია).

საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში

რსფსრ-ს IV ზონა

გათამაშების ცხრილი

„ტ“ ჯგუფი

მდგომარეობა 18 ივნისისათვის

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დინამო“ (ბათუმი)	10	5	5	0	10—4	15
„დინამო“ (სტავროპოლი)	10	5	2	3	10—7	12
„მეტალურგი“ (რუსთავი)	9	4	3	2	10—7	11
„ლოკომოტივი“ (ციროვაკანი)	9	5	0	4	15—8	10
„დინამო“ (ციროვაბადი)	9	4	2	3	10—6	10
„თერგი“ (გროზნო)	7	3	3	1	11—6	9
„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი)	9	2	5	2	7—7	9
„დინამო“ (მახაჩყალა)	10	2	5	3	6—6	9
„დინამო“ (სოხუმი)	9	3	3	3	6—7	9
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	9	3	2	4	9—11	8
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	8	2	4	2	4—7	8
„შრ. რეზერვები“ (კავმინვოდი)	10	1	6	3	7—12	8
„კოლხიდა“ (ფოთი)	6	3	1	2	9—5	7
„შროშაი“ (მაიკოპი)	9	3	1	5	5—10	7
„ლერნაგორი“ (ყაფანი)	8	3	1	4	8—14	7
„ალაზანი“ (გურჯაანი)	9	1	5	3	3—5	7
„შირაკი“ (ლენინაკანი)	8	1	4	3	6—10	6
„დინამო“ (ბაკო)	9	2	2	5	9—13	6

პოლონეთში გამგზავრების წინ

დღეს, 18 ივნისს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად მიემგზავრებიან პოლონეთს, გუშინ კი მათ საწვრთნელი შეხვედრა ჰქონდათ „ლოკომოტივთან“ (თბილისი).

აი, გუნდების შემადგენლობანი: **„დინამო“** — ლეჟავა, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ზვინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ხარტიშვილი, მეტრეველი, ბარქაია, ხუციშვილი, დათუნაშვილი; **„ლოკომოტივი“** — რუხაძე (ბერიკაშვილი), ჩხაიძე, ჩუბინიძე, წოწელია, კიზირია, იაშვილი, შაფთავა, აპრესიანი. ონიანი, დავითულიანი (მეტრეველი), კოჩკელოვი. მსაჯობდა გ. ბაქანიძე (თბილისი).

ლოკომოტიველებმა კარგი, კოლექტიური თამაში აჩვენეს და საპატიო ფრესაც მიაღწიეს ძლიერ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში. დინამოელთა შესახებ ამას ვერ ვიტყვით. ყოველ შემთხვევაში, მათ აკლდათ მონდომება.

ანგარიში შორიდან ბრწყინვალე დარტყმით 44-ე წუთზე გახსნა ხუციშვილმა. საპასუხო ბურთი გატანილ იქნა აპრესიანის მიერ მეორე ტაიმის მიწურულში.

ამრიგად, მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

* * *

პოლონეთის პრესა დიდ ადგილს უთმობს თბილისის დინამოელთა მომავალ ვიზიტს („დინამოს“ სპორტულ დელეგაციაში 20 კაცია, მათ შორის არიან დუბლიორები — ჭელიძე, ხარტიშვილი და ხუციშვილი).

სსრ კავშირის თასზე

ბუშინ მოსკოვსა და ვილნიუსში გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები.

მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და სევასტოპოლის მეზღვაურთა სპორტკლუბის გუნდი. მინდორზე თავიდანვე უაღრესად მწვავე და დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. 32-ე წუთზე მეზღვაურებმა მეტოქის კარში გაიტანეს ბურთი, რომლის გაქვითვა არმიელებმა მხოლოდ 81-ე წუთზე შეძლეს (ბასალიკი). მატჩის ძირითად დროში ანგარიში არ შეცვლილა. ასევე დამთავრდა დამატებითი პირველი ტაიმი. და მხოლოდ 113-ე წუთზე არმიელმა ფედოტოვმა გაიტანა გადამწყვეტი ბურთი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა ცსკა-ს.

ვილნიუსში ადგილობრივმა „უალგირისმა“ დაამარცხა ჩელიაბინსკის „ლოკომოტივი“ — 4:0.

კალენდარი

საქართველოს ზონალური პირველობისა ფეხბურთში

ჩვენს რესპუბლიკაში დამთავრდა ზონალური პირველობები ფეხბურთში (თამაშები მიმდინარეობდა 10 ზონაში) და იწყება გათამაშების შემდგომი ეტაპი — მატჩები ზონებში გამარჯვებულთა შორის. მოგვაყენებ **21 ივნისის** მატჩების კალენდარი რაიონების ზონების გუნდებისათვის. თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და სამხრეთ ოსეთის ზონებში გათამაშება ჩატარდება ცალკე.

VI ზონა. ახალქალაქში ერთმანეთს ხვდებიან ადგილობრივი და ბოგდანოვკის გუნდები. ახალციხის გუნდი ისვენებს.

VII ზონა. თელავი—ლაგოდეხი, ბოლნისი — წითელწყარო, ყვარელი — ახმეტა.

VIII ზონა. „ქართლი“ (გორი) — წალკა, გორის რაიონი — მცხეთა, დუშეთი — ხაშური, გარდაბანი — კასპი, თეთრი წყარო — თიანეთი. ბორჯომის გუნდი ისვენებს.

IX ზონა. ტყიბული — საჩხერე, ქ. წყალტუბო — ამბროლაური, წყალტუბოს რაიონი — ჭიათურა.

X ზონა. „ტეხურა“ (ცხაკაია) — ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, სამტრედია—ვანი, გეგეჭკორი — წალენჯიხა, ლანჩხუთი — მახარაძე. ზუგდიდის გუნდი ისვენებს.

ᲨᲕᲔᲓᲣᲠᲘ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ

12 მაისს ორმოცი საბჭოთა გულშემატკივარი მოსკოვიდან სტოკჰოლმს გავფრინდით. ჯერ კიდევ აეროპორტს ვაგზალში შევამჩნიე ნაცნობი სახეები — მწერლები ლ. კასილი, ი. ტრიფონოვი, ნ. ლაბკოვსკი, პოეტი ი. პანკრატოვი, ფეხბურთის მომომხილველები — გ. რადჩუკი და ა. სოსკინი, ფოტორეპორტიორი ბ. სვეტლანოვი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელები ა. პარამონოვი და ვ. ვინოგრადოვი. საქართველოდან ოთხნი ვიყავით—პოეტი ნ. გურეშიძე, მწერლები ე. ყიფიანი, ა. გაბესკირია და ამ წერილის ავტორი.

სტოკჰოლმის ახალ აეროდრომ „არლანდაზე“ კომფორტული ავტობუსი გველოდებოდა. პირველი, რაც გიდმა გვითხრა, იყო გაფრთხილება: მეგობრებო, სტოკჰოლმში ძალზე დიდი მოძრაობაა, მანქანები მარცხენა მხარეს დადიან და იცოდეთ, არც ერთი წამით არ შეიძლება ყურადღების მოდუნება.

მართლაც, სტოკჰოლმის ქალაქებში წარმოუდგენლად დიდი მოძრაობაა. მანქანები უდიდესი სისწრაფით დაჭრიან, მოსახვევში სიჩქარეს არ ანელებენ, წამსაც არ ჭკრგავენ, ვინაიდან, თუ პოლიციელმა გზა ჩაკეტა, 10 წუთი მაინც უნდა ელოდო „მწვანე თვალს“. ავარიაც საკმაოდ ხშირია, ამიტომ მეზავრთა და მძღოლთა უმრავლესობა დასაჯდომებზე ღვედებითაა მიბმული (როგორც უკვე დამტკიცდა, „მიჯაჭვული“ მგზავრი გაცილებით ნაკლებად შავდება).

სტოკჰოლმში მაშინ ჩავედით, როცა მთელი შვეცია ემზადებოდა ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტისთვის. ჯერ კიდევ ქალაქიდან შორს ვიყავით, როცა გიდმა გაგვაფრთხილა: ახლა ჩავუვლით სასახლეს, სადაც შვეციაში ვიზიტის დროს იცხოვრებს საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელიო. ორი დღის შემდეგ ამ სასახლის დასათვალიერებლად სპეციალური ექსკურსია გაგვიმართეს.

ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლას დიდი ინტერესით ელოდნ. სტოკჰოლმის ცენტრში უზარმაზარ ვიტრინაში მოწყობილი იყო ნ. ს. ხრუშჩოვის 70-წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა, რომელსაც ყოველთვის უამრავი ხალხი ეხვია.

...თამაშის წინ შვეციის ჟურნალისტთა კავშირმა და ფეხბურთის ასოციაციამ გულითადი შეხვედრა მოგვიწყეს. მიგვიპატიჟეს იმ რესტორანში, სადაც ადრე მოხდა შვეციის მსოფლიო ჩემპიონატის საზეიმო დახურვა. მასპინძლები ძალიან ზრდილობიან ფორმებში აშკარად გვეუბნებოდნენ, **რომ გამარჯვება** მათ დარჩებოდათ.

— რამდენი კაცი ეტევა „რასუნდას“ სტადიონზე? — ვკითხე ერთ ჟურნალისტს. — 50 ათასი, მაგრამ ამ მატჩზე 53 ათასი ბილეთი გაიყიდა, უფრო მეტი, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალზე, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ შვეციისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდები. ამიტომ გვაქვს გამარჯვების დიდი იმედი, — ჩვენს ნაკრებს მხარში 53 ათასი გულშემატკივარი ამოუდგება.

როდესაც შვედმა ჟურნალისტებმა გაიგეს, რომ მე ქართველი ვარ, აღტაცებულებმა მითხრეს: თქვენს შესანიშნავ მოჭიდაველებს კარგად ვიცნობთ, გივი კარტოზიას სახელი კი ლეგენდასავითაა შვეციაშიო. აქვე დაგვირიგეს ფეხბურთის პროგრამები, სადაც საქართველოს, — „საბჭოთა კავშირის სანატორიუმს“, — როგორც იქ ეწერა, ძალზე დიდი ადგილი ეჭირა. შვედები წერდნენ, რომ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის სამკუთხედია მოსკოვი — თბილისი — კიევი.

თამაშამდე 2 საათით ადრე სტადიონზე გავეგზავრეთ. „რასუნდა“ სასტუმროდან არც ისე შორსაა, მაგრამ როცა ჩვენი ავტობუსი შეუერთდა ტრანსპორტის უამრავ სახეობათა უზარმაზარ მდინარეს, ამ მოკლე მანძილის გავლას საათნახევარი მოვუნდით. გზაში წვიმამ მოგვისწრო. სტადიონზე რომ მივედით, მინდორზე გუბეები იდგა. და აი, ჩვენ ვართ სახელგანთქმულ „რასუნდას“ სტადიონის პრეს-ლოჟაში. წინ სამეფო ლოჟაა. თამაშს მხოლოდ შვეციის ტახტის მემკვიდრე დაესწრო, ვინაიდან მეფეს გამოსათხოვარი ვახშმი ჰქონია ბელგიის მეფესთან. ტახტის მემკვიდრე მეფის შვილიშვილია. მეფის ორ ვაჟს ცოლად უბრალო წოდების ქალიშვილები მოუყვანიათ და ამით პრიორიტეტი სამუდამოდ დაუკარგავთ, მეფის ქალიშვილი კი ტანვარჯიშის მასწავლებლად ყოფილა რომელიღაც სკოლაში. „რასუნდა“ მხოლოდ ფეხბურთის მატჩებისთვისაა განკუთვნილი და ოთხკუთხედი ფორმა აქვს: ტრიბუნები პირდაპირ მოედნიდან იწყება, არავითარი მძლეოსნური ბილიკები და სექტორები. სტადიონზე მხოლოდ ნახევარი ადგილებია დასაჯდომი, დანარჩენები ფეხზე სადგომადაა განკუთვნილი.

ამ მატჩმა მართლაც განუზომელი ინტერესი გამოიწვია მსოფლიოში. მას ტელევიზორის ეკრანებზე მთელი ევროპა ადევნებდა თვალს. 60-ზე მეტი უცხოელი ჟურნალისტი ჩამოვიდა ამ ორთაბრძოლის სანახავად. თამაშს ესწრებოდა ესპანეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელიც.

მატჩის დაწყებამდე 10 წუთით ადრე წვიმამ გადაიღო და როცა ფეხბურთელები მინდორზე გამოჩნდნენ, მაშინვე ვიგრძენი — რას ნიშნავს შვედი მაყურებელი. გამახსენდა ჟურნალისტი, რომელიც გულშემატკივრებზე დიდ იმედებს ამყარებდა. ტრიბუნების წინ „დირიჟორები“ დადგნენ, რომლებსაც ხელში შვეციის ეროვნული დროშები ეჭირათ. დროშები დირიჟორის წკეპლის მოვალეობას ასრულებდა. მთელმა სტადიონმა ისე ხმაშეწყობილად დაგუგუნა რაღაც ლექსი, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. როცა ლექსის შინაარსი ვიკითხე, მისი ტექსტი დაახლოებით ასე ამიხსნეს: „თუ ხალისიან გუნებაზე ხარ, მაშინ მოედანზეც კარგი განწყობილებაა და მოგებაც უფრო იოლია. ჰეია, ჰეია, ჰეია!“

მიუხედავად ასეთი დიდი მხარდაჭერისა, შვედი მაყურებლები არასოდეს კარგავენ ობიექტურობის გრძნობას ისინი საგანგებო ყურადღებას აქცევენ ფეხბურთის სანახაობითს მხარეს, მეტადრე ტაშით აჯილდოებენ ყველა ლამაზ კომბინაციას, გადაცემას, ცალკეულ ილეთებს, სულ ერთია, ამას შვედები ასრულებენ, თუ მათი მეტოქენი. როცა სიმონსონმა ორი მიუტევებელი ბურთი ვერ გაიტანა, მათ მაშინაც კი არ გასტეხიათ გული, არ გაულანძღავთ მოთამაშე და კვლავ მთელი მონდომებით ამხნევებდნენ თავიანთ საყვარელ ფეხბურთელებს. უკანასკნელ წუთებში ჰამრინის მიერ გატანილ გოლში მაყურებლებსაც მიუძღვით ღვაწლი.

მატჩის დაწვრილებით ანალიზს არ შევუდგები. აქ ახალს ვერაფერს ვიტყვი. მინდა მხოლოდ ჩემი შთაბეჭდილებანი გაგიზიაროთ ცალკეულ შვედ ფეხბურთელებზე. ამ შეხვედრაში ყველაზე უსუსტად სწორედ ისინი გამოიყურებოდნენ, ვისგანაც საუკეთესო თამაშს ველოდით. ესენი იყვნენ სიმონსონი და ჰამრინი. სიმონსონი ძირითადად დირიჟორის ფუნქციებს ასრულებდა, მისი გადაცემები საკმაოდ მახვილგონივრულად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ალბათ ტალახის გამო გადაცემებს სიზუსტე აკლდა.

ძალზე სწრაფი ფეხბურთელია ჰამრინი, მაგრამ ტალახმა მას საშუალება არ მისცა გამოვამჟღავნებინა თავისი მაღალი ტექნიკა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ლამაზი ბურთი გაიტანა მეტად რთული მდგომარეობიდან. საერთოდ კი, იქნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს იგი გაურბოდა გლოტოვთან შეჯახებას.

ძალზე მომეწონა მილდი, ბილდი, პირსონი და ბერგმარკი. საერთოდ, შვედები მაღალტექნიკური მოთამაშეები არიან. ბურთის დამუშავებაში ისინი აშკარად სჯობდნენ საბჭოთა ფეხბურთელებს, მაგრამ მათს იერიშებს აკლდა სიმწვავე.

თამაშის შემდეგ გასახდელში ჩავედით.

— სამწუხაროა, რომ გამარჯვება ხელიდან გავუშვით, მაგრამ არა უშავს, ამოცანა შესრულებულია, — განაცხადა ბესკოვმა.

— მოსკოვში პონედელნიკი ითამაშებს და აუცილებლად მოვიგებთ, — თქვა ვორონინმა, რომელიც იმ დღეს საუკეთესო იყო საბჭოთა ფეხბურთელებს შორის.

* * *

სტოკჰოლმში უამრავი სათამაშო მოედანი და ჩოგბურთის კორტია. განსაკუთრებით ქალაქის გარეუბნებში შეხვდებით ფეხბურთისა და ხელბურთის მინდვრებს, რომლებიც ყოველთვის ბავშვებითაა სავსე.

ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღზრდით ძალიან იყო დაინტერესებული სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ა. პარამონოვი. სტოკჰოლმის გარეუბანში მოთამაშე ჭაბუკებს რომ ვუყურებდით, მან მითხრა: ჯერ არსად მინახავს იმდენი ნიჭიერი ჭაბუკი ფეხბურთელი, რამდენიც საქართველოშიაო. მან სიტყვა თბილისის „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობაზე ჩამოაგდო და თქვა: ძალიან მომწონს კოპინი და ჭელიძე. უკვე შეიძლება ძირითად შემადგენლობაში მათი გამოყვანაო. ხურცილაცა ყველას მიაჩნია დიდი მომავლის ფეხბურთელად და მეც მჯერ შორისო...

სიტყვა მესხზე და მეტრეველზე ჩამოვაგდე და ბესკოვის ნათქვამი გავიხსენე: მე მირჩევნია ფეხბურთელი, რომელიც ყველა მატჩს თამაშობს სამნახევარზე, ვიდრე ფეხბურთელი, რომელიც ერთ მატჩში ხუთიანს მიიღებს, მეორეში კი ფეხს არ გაანძრევსო.

— შეიძლება არ ვეთანხმებოდე ბესკოვს, — თქვა პარამონოვმა, — მაგრამ როცა ევროპის თახისთვის იბრძვი, ალბათ ბევრ რამეს უნდა გაუწიო ანგარიში.

* * *

ᲗᲑᲝᲛᲐᲕᲐᲚ „ᲑᲐᲨᲙᲘᲠᲘᲗᲘᲗ“ დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ. საბჭოთა მთავრობის მეთაურს ახლავან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი პ. ა. სატიუკოვი და სხვა ოფიციალური პირები.

ათასობით დანიელი მოვიდა კოპენჰაგენის ნავსადგურში, რათა მისალმებოდა საბჭოთა მთავრობის მეთაურს — დიადი საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენელს, ქვეყნისა, რომელთანაც დანიას ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა აქვს.

დანიიდან ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვევა შვეციასა და ნორვეგიას. სკანდინავიის მშვიდობისმოყვარე ხალხები აღტაცებით ეგებებიან ძვირფას და საპატიო სტუმრებს, იმ ქვეყნის წარგზავნილებს, რომელიც მშვიდობის მებაირაქტრეა მთელს მსოფლიოში.

ამას წინათ სკანდინავიაში, კერძოდ, შვეციის დედაქალაქში სტუმრად იმყოფებოდნენ ქართველი ტურისტები, რომლებიც დაესწრნენ შვეციისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩს ევროპის თახზე ფეხბურთში. ვბეჭდავთ დელეგაციის ერთ-ერთი წევრის — **ბ. ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲘᲡ შთაბეჭდილებებს...**



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ თქვენ ხედავთ მომენტს განვლილი პირველი მატჩიდან ევროპის თასზე ფეხბურთში. შვეციელთა ორი მცველი და მეკარე უძლურნი არიან საბჭოთა თავდამსხმელთან—ვ. ივანოვთან ბურთისთვის ბრძოლაში. მის მიერ ზუსტად დარტყმული ბურთი გავიდა მასპინძელთა კარში.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

გულშემატკივართა პირისპირ

16 ივნისს საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო დარბაზში მოეწყო თბილისის საზოგადოებრიობის შეხვედრა „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივთან.

შეხვედრა გახსნა საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. სიხარულიძემ.

სიტყვებში გამოსული ამხანაგები — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. კუპრაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ო. დიმიტრიადი და ა. ხორავა, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის კომუნისტური შრომის დამკვრელი, ზეინკალი მ. ფუტკარაძე, უნივერსიტეტის სტუდენტი მ. კვაჭაძე, ჭადრაკში მსოფლიოს დედოფალი ნ. გაფრინდაშვილი ლაპარაკობდნენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის სახელოვან ტრადიციებზე, იგონებდნენ ისტორიის იმ ფურცლებს, რომლებიც თბილისელ ფეხბურთელებს საპატიო ადგილს მიუჩენს საბჭოთა სპორტის მატიანეში. ამავე დროს, მათ ილაპარაკეს იმ დასანან ჩავარდნებზე, რომლებიც თბილისელ ფეხბურთელებს სდევდათ თან წლევანდელი ჩემპიონატის გასვლით მატჩებში. ყველა გამოსული ორატორის სიტყვაში ნათლად ჩანდა ის სერიოზული შეშფოთება და გულისტკივილი, რომელიც გამოწვეულია უკანასკნელ თამაშებში წარუმატებლობით.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტნის შ. იამანიძის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ს. მეტრეველისა და გუნდის უფროსი მწვრთნელის გ. კაჩალინის გამოსვლებში იგრძნობოდა ის პასუხისმგებლობა, რომლითაც ეს ადამიანები არიან გამსჭვალულნი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის წინაშე. სასიხარულოა ის გარემოება, რომ მათ სწორად მიიღეს რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის კრიტიკა და აღუთქვეს დამსწრეთ, რომ უახლოეს ხანში გაახარებენ ქართველ გულშემატკივრებს კარგი თამაშით.

დასასრულ, სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე. მან აღნიშნა ის მავნე პრაქტიკა, რომელიც ზოგიერთი გულშემატკივრის თავაშვებულ „პატივისცემაში“ გამოიხატება ხოლმე ფეხბურთელების მიმართ. მან მოუწოდა ფეხბურთის გულშემატკივრებს მეტი თავდაჭერილობისაკენ სტადიონზე მატჩის მსვლელობის დროს.

ა. ცეხანელი



• • •

სურათებზე: მარცხნივ, ზევით — ხელოვნების მუშაკები ჯ. ბაგრატიონი და ო. დიმიტრიადი ესაუბრებიან ს. მეტრეველს, გ. სიჭინავასა და ბ. სიჭინავას; ქვევით — ნ. გაფრინდაშვილი და შ. იამანიძე შეხვედრის დაწყებამდე; მარჯვნივ — გ. კაჩალინი ტრიბუნაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ზღვა უხმოგს მამაცებს

წყალქვეშა სპორტს ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნის ისტორია არა აქვს. 1958 წელს ყირიმში გაიმართა სპორტსმენ - აქვალანგისტების პირველი შეჯიბრება. 1960 წლიდან წყალქვეშა სპორტი შეტანილია ერთიან საკავშირო კლასიფიკაციაში, ხოლო 1962 წელს დაწესდა სპორტის ოსტატის წოდება ამ სახეობაში.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა სპორტსმენებმა სამჯერ გაიმარჯვეს საერთაშორისო შეჯიბრებებში. მიმდინარე წლის აგვისტოში ალუშტაში გაიმართება ჩვენი ქვეყნის VII პირველობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის წყალქვეშა სპორტის ფედერაციამ მიწვევა მიიღო მილანის წყალქვეშა სპორტის მოყვარულთა კლუბისგან შეჯიბრებაში მონაწილეობაზე.

აგვისტოში საბჭოთა სპორტსმენები გაემგზავრებიან ბულგარეთში V საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის.

ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება გაეცნონ სპორტის ამ სახეობის მსოფლიო რეკორდებს.

ჩაუვინთვის მსოფლიო რეკორდები

სიღრმეზე: უაქვალანგოდ — იტალია. 1961 წელი. ე. მაიორკა — 51 მეტრი; აქვალანგით — კანადა. 1962 წელი. რ. ბიორჩი და რ. ვ. ჰატჩინზი — 143 მეტრი.

წყალქვეშ: უაქვალანგოდ — საფრანგეთი. 1954 წელი. ჟ. მედინსი — 3,41 წუთი; აქვალანგით — საფრანგეთი. 1963 წელი. ლ. ლურმე — 31 საათი.

წყალქვეშ ცურვის სიგრძე: აქვალანგით — ამერიკის შეერთებული შტატები. 1962 წელი. ფ. ბალდასარი. პირველმა გადაცურა ლამანშის სრუტე. 5 მეტრის სიღრმეზე მან 67,2 კილომეტრი დაფარა 19 საათსა და 1 წუთში (3,5 კილომეტრის სიჩქარით საათში).

წინასაოლიმპიადო სტარტები

◆ ლენინგრადი, 17 ივნისი (ტელეფონით). „ბურევესტნიკის“ ველოტრეკზე დაიწყო საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, პოლონეთისა და გდრ-ის ოლიმპიური გუნდების კანდიდატთა შერჩევითი შეჯიბრება.

გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში 4 კილომეტრზე საუკეთესო შედეგი აჩვენა პოლონელმა ლ. იუზეფოვიჩმა — 5.04,5. ს. მოსკვინი (სსრკ) ფინიშთან მეორე იყო — 5.07,0.

◆ იალტა, 17 ივნისი. აქ გაიმართა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ველოსიპედისტთა წინასაოლიმპიადო შეჯიბრება ჯგუფურ რბოლაში 90 კილომეტრზე.

წარმატებით გაიარა ძალზე რთული ტრასა აშხაბადელმა გ. ლებედევმა — 2:40.43. მეორე ადგილზე გამოვიდა გ. საიდხუჟინი (ჩელიაბინსკი) — 2:41.51, მესამეზე — ესტონელი ა. ვიარავასი — 2:41.51.

◆ ვარშავა. პოლონეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა განიხილა ტოკიოს ოლიმპიადასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომლებიც მიმართულია ამ ასპარეზობაში პოლონელი სპორტსმენების წარმატებით გამოსვლისადმი. ერთ-ერთი მთავარი შესარჩევი შეჯიბრება იქნება ცენტრალური სპარტაკიადა. გარდა ამისა, ივლისში პოლონეთის სხვადასხვა ქალაქში გაიმართება მძლეოსანთა, მოკრივეთა, მოფარიკაველთა და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლების ტურნირები.



ევროპის საფეხბურთო მოედნებზე

● **რუმინეთი.** ადგილობრივ ჩემპიონატს დამაჯერებლად ლიდერობს ბუქარესტის „დინამო“ — 31 ქულა. მეორე ადგილზეა „რაპიდი“ — 29.

● **თურქეთი.** ჩემპიონის ტიტული მოიპოვა სტამბოლის პოპულარულმა კლუბმა „ფენერბახჩემ“.

სპორტული ყვავილები

გმირ სპორტსმენს მიეძღვნა

პიარნუ, 16 ივნისი. ჭაბუკი მუშა, კომუნისტი. იგი შესანიშნავი მოკრივე იყო — ესტონეთის არაერთგზის ჩემპიონი. 1941 წელს იგი პარტიზანთა შორის იბრძოდა და ფაშისტებმა შეიპყრეს. და იგი მოკვდა ისე, როგორც ცხოვრობდა — მოკვდა როგორც შეუდრეკელი კომუნისტი. ვერავითარმა წამებამ ვერ აიძულა ამხანაგები გაეთქვა...

გმირი სპორტსმენის რომან კურის ხსოვნას ეძღვნება მოკრივეთა ტრადიციული შეჯიბრება, რომელიც ყოველ წელს პიარნუში იმართება ხოლმე (ამ ქალაქში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სპორტსმენი). წელსაც აქ თავი მოიყარა ტყავის ხელთათმნის 130-მა ოსტატმა. ჩამოვიდნენ რიგიდან, მინსკიდან, პეტროზავოდსკიდან, ვოლგოგრადიდან, კალინინგრადიდან, შორეული ტაშკენტიდან და კამჩატკის პეტროპავლოვსკიდანაც კი. რა თქმა უნდა, ყველაზე საინტერესო იყო მეორე საშუალო წონის მოკრივეთა ორთაბრძოლა, სადაც რ. კურის ხსოვნის სპეციალური პრიზი თამაშდებოდა. ეს პრიზი მოიპოვა ტალინელმა სტუდენტმა ა. მურთაზინმა, რომელმაც ვოლგოგრადელ სპორტის ოსტატ ა. იაკულინს მოუგო.

ჰერბერგერი ნაკრებში რჩება

მიმდინარე წლის იანვრიდან დავობენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურნი იმის შესახებ, თუ ვის უნდა ჩაებარებინა ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა 67 წლის ასაკში მყოფი ზ. ჰერბერგერის გადადგომის შემდეგ.

მხცოვანმა მწვრთნელმა „თადარიგში“ გასვლა ითხოვა, ფედერაცია კი აპირებდა მის გათავისუფლებას მხოლოდ მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის შემდეგ. დიდი კამათის მერე გამოინახა „ბებერი მელას“ შემცვლელიც — მისი მოწაფე ჰ. შოენი.

ახლა გამოცხადდა, რომ ზ. ჰერბერგერი გერმანელთა გუნდს მორიგი მსოფლიო ჩემპიონატისთვისაც მოამზადებს. ამ დღეებში მან ერთხელ კიდევ გამოიყვანა გფრ-ის გუნდი ჰელსინკში ფინეთის ნაკრების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ჰერბერგერმა ჩვეულებისამებრ ექსპერიმენტებს მიმართა და მინდორზე რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი არ გამოიყვანა, ფინელებმა მაინც ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა გამოცდილ მეტოქეებს და დამარცხდნენ — 1:4.

გფრ-ის ნაკრები თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: ტილკოვსკი, ლუტცი, რედერი, შულცი, სილოფი, ვებერი, კრაუსი, ჰაიგერი, შმიდტი, კონიჩკა, ოვერატი.

მოგზომრბოლელთა მრავალჯიდი

რიგა, 16 ივნისი. ჩვენი ქვეყნის 170 უძლიერესი მოტომრბოლელი მონაწილეობდა საკავშირო მრავალდღიან შეჯიბრებაში. ლატვიის გზებზე სპორტსმენებმა 1.600-ზე მეტი კილომეტრი დაფარეს. ისინი ასპარეზობდნენ კროსში, საგზაკეცილო რკალურ რბოლაში, იპოდრომზე, მანქანების ოსტატურ და მარჯვე ტარებაში.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები მოსკოველი სპორტსმენები გახდნენ. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ლატვიელი მოტომრბოლელები, ხოლო მესამეზე — რსფსრ-ის წარმომადგენლები. სხვადასხვა კლასის მანქანებით ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს ვ. შილიაევმა (კიშინიოვი), ლ. ვორონოვიჩმა (მინსკი), ა. რუდენკომ, ე. კირსისმა (ორივენი — ფრუნზედან). სხვათა შორის, ეს კირსისის მე-11 ოქროს მედალია უკანასკნელი წლების საკავშირო პირველობებში.

პოზნანის კორტებზე

პოზნანში დამთავრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ტრადიციულად მიეძღვნა პოლონეთის ამ ქალაქში გამართულ ბაზრობას. ასპარეზობაში საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

ვაუთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა მოსკოველმა ვ. ეგოროვმა, რომელმაც ფინალში იოლად ძლია ლენინგრადელ ა. პოტანინს — 6:1, 6:1.

შერეულ წყვილთა შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ვ. ტროშკინა (დონის როსტოვი) — ვ. ეგოროვი და ე. პოტანინა (ლენინგრადი) — ა. ჩუგუნოვი (მოსკოვი). გაიმარჯვეს პირველებმა.

არქიელ მოჭადრაკეთა ჩემპიონი

რიგა. აქ დამთავრდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მოჭადრაკეთა გუნდური პირველობა. ასპარეზობაში გაიმარჯვეს და ჩემპიონის სახელი მოიპოვეს ლენინგრადის სამხედრო ოლქის წარმომადგენლებმა.

ა. სუეტინი — დიდოსტატი

38 წლის მინსკელ მოჭადრაკეს ა. სუეტინს მსოფლიო პირველობის ამასწინანდელ ზონალურ ტურნირში მაღალი სპორტული შედეგების მოპოვებისთვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის დიდოსტატის წოდება.

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა ცხოვრებულ მოჭადრაკესა და ჭადრაკის დაუცხრომელ პროპაგანდისტს, გამოცდილ არბიტრს, საკდესის საჭადრაკო მიმომხილველს ი. როხლინს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ტურნირი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ცნობილი საკლუბო გუნდების მონაწილეობით.

პირველ ადგილზეა ბრემენის „ვერდერი“ (გფრ), რომელმაც 4 თამაშიდან 6 ქულა მოაგროვა და ჯერჯერობით დაუმარცხებლად იბრძვის. უკანასკნელ შეხვედრაში გერმანელებმა ძლიეს ინგლისის I ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს — „ბლეკბერნ როვერსს“ — 3:2.

მეორე ადგილზეა შოტლანდიის „ჰირტსი“—3 ქულა. „ბაიას“ (ბრაზილია) და „ლანეროსის“ (იტალია) 2-2 ქულა აქვთ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.